№ 214 მთავრობის მოამგე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ხუთშაბათი სექტემბრის 23 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მ. ნ. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ელირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში **130** მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

მეოცე სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული თეატრი)

რუსთველის პროსპექტი № 21 შაბათს, სექტემბრის 25-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის

გუფეტების და სპეკულანტების იჯარით გასაცემად 1920-21 წლის სეზონისათვის

იჯარის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 12 საათამდე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ ამ თავითვე უნდა წარმოდგენილი იქმნეს ბე.

901 3—1

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მმართველი

აცხადებს რომ ქუთაისის სამეურნეო სკოლა გადაკეთებულია საშუალო სამეურნეო სასწავლებლად ოთხ წლიანი კურსით; პირველ კლასში მიიღებიან ორივე სქესის პირნი მოწმობით უმაღლეს დაწყებითი შკოლაში ან ოთხ კლასიან პროგიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი 15—18 წლისანი; ვისაც ზემო აღნიშნული მოწმობა არ აქვთ მათთვის დანიშნული იქნება გამოცდები. მსურველები უნდა გამოცხადდენ ამა წლის 28 ენკენისთვეს. სწავლა დაიწყება პირველ ოქტომბერს.

920. 3 1.

ოფიციალური განყოფილება.

კანონი

შრომის ხელშეკრულობისა.

7. შინაგანი წესრიგი.

მუხ. 21.

თუ წარმოებაში შრომის ხელშეკრულობით ჩვეულებრივ ხუთ კაცზე ნაკლები არ მუშაობს, მუშაობის წარმოების წესრიგი დამქირავებელმა უნდა დაადგინოს.

მუხ. 23.

შინაგან წესრიგში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული: ა) ვადა (ცალ-ცალკე წლოვანთა და მცირე-წლოვანთათვის) შრომის დაწყებისა და გათავებისა საათობრივ, დრო და ხანი შრომის შეწყვეტისა დასასვენებლად და პურის საჭმელად და აგრეთვე ისიც, თუ კვირაუქმის წინა დღეს როდის უნდა შესწყდეს მუშაობა; ბ) სია დღესასწაულებისა, როცა მუშაობა არ სწარმოებს; გ) წესი და ხანი სამუშაოს შეწყვეტისა; დ) სამუშაო ხელფასის მიცემის ვადა; გ) დრო მანქანებისა და აპარატების გაწმენდისა, აგრეთვე სახელოსნოების გასუფთავებისა, უკეთუ შრომის ხელშეკრულობით ეს მოვალეობა დაქირავებულთ აქვს; ვ) მუშათა და მოსამსახურეთა მოვალეობა წარმოებაში წესისა და რიგის დაცველად; ზ) რა ღონისძიებანი უნდა იხმაროს დაქირავებულთ, რომ მანქანებს, ცეცხლის გაჩენას და სხვ. გაუფრთხილდენ.

მუხ. 23.

წესრიგში უნდა აღნიშნულ იყოს დრო მისი ძალაში შესვლისა. ორის კვირით ადრე ძალაში შესვლამდე წესრიგი უნდა გამოკიდულ იქნეს თვალსაჩინო ადგილას იმ შენობაში, სადაც მუშაობა სწარმოებს და სადაც ანგარიში ეძლევათ მუშებს. ამავე დროს ერთი ცალი ამ წესრიგისა უნდა გაეგზავნოს იმ თანამდებობის პირს, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს შრომის დამცველ კანონთა სისწორით აღსრულებას. ათის დღის განმავლობაში წესრიგის გამოკიდების დღიდან დაქირავებულთ ან მათ წარმომადგენელს უფლება აქვს თანამდებობის პირს განუცხადოს, თუ ვინცობაა ნაკლი რამ შეამჩნია ამ წესრიგს.

მუხ. 24.

თანამდებობის პირი, რომელსაც დავალებული აქვს შრომის კანონების წესიერად აღსრულების თვალყურის დევნება, ვალდებულია მე-23 მუხ. აღნიშნული ვადის გასვლამდე განიხილოს წესრიგი და თუ იგი არ შეიცავს ისეთ პირობას, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობას, მომქმედ კანონებს, ან დაქირავებულისათვის სავალდებულო კოლექტიურ ხელშეკრულობას, თავისი ხელის მოწერით დაამოწმებს, რომ თანახმაა მისი გამოცემისა. ამ თანამდებობის პირის მიერ ხელმოუწერელი წესრიგი ძალას მოკლებულია. ამ თანამდებობის პირის მოქმედება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს შრომის სასამართლოში, როგორც დამქირავებლისა, ისე დაქირავებულთაგან.

მუხ. 25.

ამ წესრიგს ძალა არა აქვს მისის გამოცემის წინა დროისათვის.

მუხ. 26.

ეს წესრიგი ძალაში შესვლის დღიდან გაუქმებამდე სავალდებულოა როგორც დამქირავებელის, ისე დაქირავებულისთვის, რომელიც წარმოებაში მუშაობს. შეცვლა ან გაუქმება წესრიგისა შეიძლება ამ კანონის მე-23 და მე-24 მუხლის თანახმად.

8. წარმოების მმართველი და მუშა-მოსამსახურეთა სიების წარმოება.

მუხ. 27.

იმ წარმოებაში, რომელსაც პატრონი თვით არ განაგებს, ან რომელიც ეკუთვნის რამდენსამე პირს, ამხანაგობას, ან საააქციონერო საზოგადოებას, ხაზინას ან საზოგადოებრივ დაწესებულებას, პატრონის მოვალეობას ასრულებს მათგან დანიშნული გამგე წარმოებისა.

შენიშვნა: დიდ წარმოებაში, განსაკუთრებით ისეთში, რომელშიაც ერთის წარმოების რამდენიმე დარგია შერთებული, შეიძლება დაინიშნოს რამდენიმე გამგე ცალ-ცალკე ნაწილის განსაგებად.

მუხ. 28.

წარმოების პატრონი ვალდებულია სამის დღის განმავლობაში აცნობოს თანამდებობის პირს, რომელსაც დავალებული აქვს შრომის კანონების წესიერად აღსრულების მეთვალყურეობა,—ვინ არის წარმოების გამგედ დანიშნული ან ძველის ნაცვლად ახალი ვინ ინიშნება.

ამას გარდა, წარმოებაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოკიდულ იყოს განცხადება გამგის სახელისა და გვარის აღნიშვნით.

მუხ. 29.

თუ ის პირი, რომელიც განაგებს წარმოებას (პატრონი, ან გამგე) დროებით სადმე წავიდა, ვალდებულია წარმოებაში თავისი მოადგილე დასტოვოს, რის გამო განცხადება უნდა გამოკრულ იქნეს იმ შენობაში, სადაც მუშაობა სწარმოებს.

მუხ. 30.

წარმოების გამგე პასუხისმგებელია, თუ წარმოების მმართველობის მიერ შრომის კანონები დარღვეულ იქნა. უკეთუ გარდაწყვეტილების დადგენის დღიდგან ერთის კვირის განმავლობაში შეტანილ არ იქნა ის ჯარიმა, რომელიც გამგეს შეუწერია ფულად, იგი გადახდება წარმოების პატრონს, რომელსაც შეუძლია თავისი ზარალი დამნაშავეს გადაახდევინოს.

მუხ. 31.

დამქირავებელს, ან გამგეობას წარმოებისას, სადაც ხუთ კაცზე ნაკლები არ მუშაობს, დაევალება ცალ-ცალკე სია ჰქონდეს მუშებისა და მოსამსახურეებისა. რომელშიაც აღნიშნულ უნდა იყოს პროფესია, ან თანამდებობა, წლოვანება, ეროვნება და საცხოვრებელი ბინა თვითეულის მათგანისა, აგრეთვე დრო იმათი მიღებისა და შრომის ხელშეკრულობის შეწყვეტისა ან გაუქმებისა.

9. საანგარიშო წიგნაკები.

მუხ. 32.

არა უგვიანეს სამის დღისა იმ ვადის გასვლის შემდეგ ამ კანონის მე-7 მუხლით რომ აღნიშნულია, დამქირავებელი; რომელთანაც მუშაობს არა ნაკლებ ხუთის მუშისა და მოსამსახურისა, ვალდებულია მისცეს ყოველ დაქირავებულს საანგარიშო წიგნაკი, იმისდა მიუხედავად, თუ რა ვადითაა დადებული ხელშეკრულობა. ახალის ხელშეკრულობის დადებისა ან ძველის განახლების დროს, დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულის მიღებიდან ექვსის დღის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ საანგარიშო წიგნაკების შემოღებით ჩამოაყალიბოს ხელშეკრულობა. უკეთუ ხელშეკრულობის ასრულება უნდა დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს სამის თვისა მისის დადების დღიდან (მუხ. 12), საანგარიშო წიგნაკი უნდა მიეცეს დაქირავებულს იმავე დღეს, როცა მუშაობას დაიწყებს.

შენიშვნა: საანგარიშო წიგნაკებს საფერბოდ გადასახადი არ გადახდება.

მუხ. 33.

დაქირავებული არტელისთვის მუშაობის მიცემის დროს დამქირავებელი ვალდებულია მთელს არტელს მისცეს საერთო საანგარიშო წიგნაკი. ამაზე დამოუკიდებლად, არტელის ყოველ დაქირავებულ წევრს უნდა დაურიგდეს ცალკე საანგარიშო წიგნაკი. ცალკე საანგარიშო წიგნაკები არტელის წევრებს მიეცემა: 1) დამქირავებლის მიერ, როცა ის ანგარიშს უსწორებს არტელის თვითეულ წევრს ცალკე; 2) არტელის გამგეობის მიერ, როცა არტელის წევრებს ანგარიშს უსწორებს არტელის გამგეობა, ხოლო იმ მცირე შემთხვევაშიაც დამქირავებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რომ საანგარიშო წიგნაკში თავის დროზე შეტანილ იყოს ყოველგვარი ანგარიში არტელის წევრისა.

მუხ. 34.

დამქირავებლის მიერ საანგარიშო წიგნაკის მიუცემლობა ხელშეკრულობას კანონიერ ძალას არ დაუკარგავს, მაგრამ დაწესებული ვადის განმავლობაში საანგარიშო წიგნაკის მიუღებლობის გამო დაქირავებულს შეუძლია ხელშეკრულობა დაარღვიოს და დამქირავებლისაგან სასყიდელი მოითხოვოს ამ კანონის მე-79 მუხ. თანახმად.

მუხ. 35.

ვინიცობაა მუშას საანგარიშო წიგნაკი დაეკარგა, სამაგიეროდ ახალი წიგნაკი უნდა მიეცეს, რომლის ფასიც გადახდება შრომის საბჭოს, ან შრომის დამცველი ორგანოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით.

მუხ. 36.

საანგარიშო წიგნაკების ნიმუშს შრომის საბჭო, ან შრომის დამცველი ორგანო შემოიღებს.

მუხ. 37.

საანგარიშო წიგნაკში უთუოდ აღნიშნულ უნდა იყოს:

1) სახელი, მამის სახელი და გვარი დამქირავებელისა და წარმოების სახელწოდება.

2) სახელი, მამის სახელი და გვარი დაქირავებულისა;

3) შრომის ხელშეკრულობის ვადა;

4) ხელფასის რაოდენობა, მის გამოანგარიშების წესი, საფუძველი და გადახდის ვადა;

5) ყოველი სხვა პირობა, შრომის ხელშეკრულობით დადებული, და აგრეთვე ყველა შემდეგი მომხდარი ცვლილება პირობისა;

6) სამუშაო ხელფასი და ამასთან ცალკე ზედმეტი მუშაობის სასყიდელი.

7) წინდაწინ მიცემული ფული და აგრეთვე ყველა ის ფული რაც შრომის ხელფასს კანონიერად გამოაკლდება.

8) ხელშეკრულობის გაუქმებისთვის წინასწარი განცხადება;

9) ჯეროვან შევთხვევაში დასახელება იმისა, რომ შრომის საერთო პირობები კოლექტიური ხელშეკრულობით არის დადგენილი;

10) შინაგანი წესები.

მუხ. 38.

დაქირავებულის ნებადაურთველად აკრძალულია საანგარიშო წიგნაკებში აღნიშნა მისი მუშაობისა, პირადობისა, უნარიხა და სხვა თვისების ავკარგიანობისა. აკრძალულია აგრეთვე საანგარიშო წიგნაკში იხეთი საიდუმლო ნიშნების მოთავსება, რასაც შეუძლია დაქირავებულისაგან ახალი სამუშაო მოძებნას ხელი შეუშალოს (მუხ. 54).

მუხ. 39.

საჭირო ცნობების აღსანიშნავად წარმოების კანტორაში, ან დამქირავებელთან წარდგენილი საანგარიშო წიგნაკი უნდა დაუბრუნდეს დაქირავებულს წარდგენიდგან არა უგვიანეს ექვსის დღისა დამქირავებელთან ან კანტორაში საანგარიშო წიგნაკის წარდგენის დრო უნდა აღინიშნოს ბარმოზე, რომელიც დაქირავებულს მიეცემა.

შენ შენა: იმ წარმოებაში, რომელშიაც თვითეული დაქირავებულისათვის ორი წიგნაკია შემოღებული, კანტორაში წარდგენილ წიგნაკის ნაცვლად დაქირავებულს უნდა მიეცეს მეორე წიგნაკი, რომელიც კანტორაში ან დამქირავებელთან ინახება.

მუხ. 40.

შრომის ხელშეკრულობის ვადის გასვლის ან გაუქმების შემდეგ საანგარიშო წიგნაკი დაქირავებულს უნდა დარჩეს.

დაქირავებულის მოვალეობა და დამქირავებლის უფლება.

მუხ. 41.

დაქირავებული ვალდებულია აასრულოს დამქირავებელის მიერ მინდობილი საქმე, ან ის სამუშაო, რომელიც მას თავს უდვია მოვალეობისამებრ.

მუხ. 42.

დამქირავებელს არ შეუძლია მოსთხოვოს დაქირავებულს ისეთი სამუშაოს ასრულება, რომელიც არ ეკუთვნის იმ სახის მოქმედებას, რისთვისაც ის არის დაქირავებული, და აგრეთვე ისეთი სამუშაო რომელიც აშკარად სახიფათოა, ან არ შეეფერება ხელშეკრულობას, კანონს, ან ზნეობრივ მოთხოვნილებას; ხოლო თუ წარმოების იმ დარგში, რომლისათვისაც დაქირავებულმა უნდა იმუშაოს, დროებით სამუშაო არ არის, დამქირავებელს შეუძლია დააყენოს დაქირავებული სხვა შესაფერს სამუშაოზე, იმის და მიხედვით უბრალო მუშაა, ხელოსანი თუ ინტელიგენტი, იმ პირობით, რომ დაწესებული სამუშაო ხელფასი არ იქნეს დაკლებული. თუ ეს დროებითი სამუშაო უფრო ძეტად ჰგასობს, ვიდრე წინანდელი სამუშაო, დაქირავებულს უფლება აქვს მოსთხოვოს დამქირავებელს ხედძეტი ხელფასი. აძის თობაზე აღძრული დავა შრომის სასამართლომ უნდა გადასწყიტოს.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა აუცილებელია მოსალოდნელი საფრთხის ან წარმოების თუ მეურნეობის ვნების თავიდან ასაცილებლად დაქირავებულს შეიძლება მიენდოს მისი ძალღონის შესაფერი სამუშაო პირობით გათვალისწინებაზე მეტი ან სხვა ხასიათის სამუშაო შრომის ხელშეკრულობაში აღნიშნულ სამუშაოსთან შედარებით.

მუხ. 43.

დაქირავებულს უფლება არა აქვს დამქირავებლის უბეურად თავისი სამუშაო სხვა მიანდოს აღსასრულებლად. ჯეუფს ან აოტელს, რომელიც დაქირავებულია შრომის ხელშეკრულობით, შეუძლია თითონვე გაანაწილოს წევრთა შორის სამუშაო და გასული წევრების ნაცვლად ახალი წევრები მიიღოს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულობაში აღნიშნულ პირობას.

მუხ. 44.

დაქირავებული ვალდებულია თავისი ძალღონისა და უნარისდაკვალად პირნათლად შეასრულოს ნაკისრი სამუშაო. ვინიცობაა იმის ნამუშავარს ნაკლი რამ აღმოჩნდა, იგია პასუხისმგებელი; თუ ეს ნაკლი შედეგია მისი ბოროტი განზრახვისა ან დაუდევრობისა. სამუშაოს უხეიროდ ასრულებისათვის ის პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, უკეთუ მას თავს ჯერ ვა განსაზღვრული თვისების სამუშაოს შესრულება ან უკეთუ დაიჩემა მინდობილს საქმის შესასრულებლად საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ხოლო ნამდვილად კი ასეთი ცოდნა და გამოცდილება არ აღმოაჩნდა.

მუხ. 45.

დაქირავებული ვალდებულია სიფრთხილით მოეკიდოს ნედლეულ და მასალას და საზოგადოდ ინვენტარს, ან ცარიელებენ. იგია პასუხისმგებელი ამ ნედლეულის და მასალის მისი უყურადღებობით დაკარგვისა და გაფუჭებისა, ხოლო პასუხს არ აგებს გაფუჭებისა და უვარგისობისა, თუ გაფუჭება და უვარგისობა ამ ნივთების ჩვეულებრივი ხმარების შედეგია.

მუხ. 46.

დამქირავებელს და წარმოების პატრონს უკრძალავს თავისი უფლებით რამე გადასახადის შენარჩუნებულად დაქირავებულისათვის.

მუხ. 47.

სამუშაოს უხეიროდ ასრულებისა (მუხ. 44.) და აგრეთვე საწარმოო იარაღისა და მასალის გაფუჭებისა და დაკარგვისათვის (მუხ. 45.) დაქირავებულს შეიძლება სამართლის წესით ბრალეულად დაქირავებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხ. 48.

ძალაუფლებ, რომელიც სამუშაოზე დაიგვიანებს ნახევარ საათზე მეტს, შეიძლება არ მიეცეს ნება მუშაობისა დანარჩენი მუშების ხელახლა სამუშაოდ დადგომამდე. ეს ახალი მუშაობის დაწყება წარმოების გამგეობას შეუძლია შეუფარდოს ან დასასვენებლად შეწყვეტილი სამუშაოს განახლებას, ან მეორე დღის სამუშაო დროს, იმისდა მიხედვით თუ რა უფრო სასარგებლოა წარმოებისათვის. დრო და წესი დაგვიანებული მუშების სამუშაოზე დაყენებისა უნდა იყოს აღნიშნული წარმოების შინაგან წესრიგში. მოცდენისათვის დამქირავებელს უფლება აქვს დაქირავებულს სამუშაო ხელფასის სათანადო ნაწილი დაუჭიროს.

1921 წ. აგვისტოს 14-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **გრ. დორთქიფანიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

ბორჩალოს მაზრის სანგგებო რევიზიის კომისია

თანახმად მთავრობის 26 აგვისტოს დადგენილებისა შემდგომ ბორჩალოს მაზრის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა საგანგებო რევიზიის კომისია, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე სასამართლო პალატის წევრი ი. კობიაშვილი, წევრები. ადმინისტრაციის ინსპექტორი ქარცივაძე, ფინ. და ვაჭრობა მრეწველობის რევიზორი ოსიტაშვილი, იუსტიციის სამ. მოხელე ლუკინი, პროკურორის ამხანაგი კილევსკი, სამხედრო სამინისტროს საგანგებო მინდობილებითა მოხელე პოლ. თულაშვილი, სახელმწიფო კონტროლის რევიზორი ტროკკი, მიწადმოქმედების სატყეო ნაწილის რევიზორი ნანეიშვილი: მდივნად იუსტიციის სამ. კანცელარიის საქმის მწარმოებელი გორდეზიანი, ერთი მემანქანე.

შევადგინე რა ბორჩალოს მაზრის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა საგანგებო რევიზიის კომისია, ვთხოვ ყველა დაინტერესებულ პირთ ამ სექტემბრის 25 დან ეკატერინოფელდში სამუშაოდ წასვლამდე საჭირო განცხადებით მომმართონ ყოველ დღე დილის 12—1 საათამდე სასამართლო პალატის შენობაში (სასამართლო ქ. № 32).

კომისიის თავმჯდომარე სასამართლო
პალატის წევრი **ი. კობიაშვილი.**

საგარეო საქმეთა ნაწილის უფროსი საგან.

ბათუმის საბჭოთა მოხელეთა საყურადღებოთ.

თითქმის ორი წელიწადზე მეტია, რაც ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მტრებმა როგორც შინაურებმა, აგრეთვე გარეშეებმაც ხელი ხელს მისცეს და ჯოჯოხეთურის ენერგიით დაიწყეს ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო ჩამოეგლიჯათ საქართველოსაგან მისი უძვირფასესი ნაწილი ბათუმი და ბათუმის ოლქი, მაგრამ მათი ცდა ჯუჯი გამოდგა, და ისინი დაამარცხა საქართველოს ბრძოლაში გამოწვრთნილმა დემოკრატიამ. და ორი წლის ბრძოლისა და ოცნების საგანი სინამდვილეთ იქცა, და ქართველი ერის დაკოდილი გული 7 ივლისს ამა წელს გამთელდა ბათუმისა და მისი ოლქის დედა საქართველოსთან დაბრუნებით. ასეთი გამარჯვების შემდეგ, ყველა ჩვენი მტერ-მოყვარენი გაფიციცებით ადევნებენ თვალყურს ჩვენს მოქმედებას, უყურებენ გამოვიჩენთ თუ არა ჩვენ უნარს ბათუმში და მის ოლქში აღმშენებლობრივ ცხოვრების დამყარებაში, და ყოველ დაწესებულებათა მოწესრიგება-განახლებაში. ამ დაწესებულებათაგან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბათუმის საბაჟოს, რადგანაც ის არის მამოძრავებელი ღერძი აღებ-მიცემობისა, დარაჯი თვისი ქვეყნისა და ამასთანავე შემაერთებელი ინსტანცია ევროპისა და აზიას შორის. ბათუმის საბაჟო, როგორც ტიპი დღევანდელ კარების აღებ მიცემობის სისტემისა, იპყრობს თავის გარშემო გამვლელ-ევროპის დახურულ-გამომვლელ, როგორც სხვა და სხვა სახელმწიფო წარმომადგენლებს უცხო ვაჭარ-მრეწველთ, რომლებიც უპირველესად საბაჟოს მოხელეთაგან—ეცნობიან აგრეთვე მათ ქვეყნის შინაურ ცხოვრებასაც, ცხადია ყველას კარვათ მოეხსენება, როგორც ძნელია პირველი შთაბეჭდილება უცხო ადამიანში აღმოიფხვრას. სწორეთ ამიტომ საუკეთესო ძალა საბაჟო მოხელეთა ბათუმში გაიგზავნა და იქ არიან თავმოყრილნი სხვა და სხვა საბაჟოებთან შედარებით გაწრთვნილნი და პატიოსანი მოხელენი, აგრეთვე სამინისტროს საბაჟო ნაწილიდან იგზავნებიან, როგორც საბაჟო ნაწილის უფროსი, აგრეთვე მისი თანაშემწე და რევიზორი, რომ ადგილობრივ გაუწიონ ხელმძღვანელობა, რომ ბათუმში საბაჟოს საქმე იქმნას სასურველ ნიადაგზე დაყენებული. დღემდის საბაჟო აწარმოვდა, არამც თუ დღიურ ოპერაციულ საქმეს, არამედ რიგში მოყვანას იმ არეულ-დარეულ საქმეებისა, რომელიც ჩვენ ინგლისელებიდან მივიღეთ. დღეს ასე თუ ისე ყოველივე საქმე თავის კალაპოტში ჩადგა, ამიტომ თავისუფლებისა და ჩვენი რესპუბლიკის სახელით მოვითხოვთ საბაჟოს მოხელეთაგან:

განსაკუთრებულ ზრდილობიან და თავაზიან მოპყრობას უცხოელ და შინაურ ვაჭარ-მრეწველთა მიმართ, და აგრეთვე ყველა ვისთანაც მოხელეთ დამოკიდებულება აქვთ, ენერგიულ მუშაობას საბაჟო კანონების მტკიცე ასრულებით და უმაღლეს პატიოსნებას ამ სიტყვის ყოველგვარ მნიშვნელობით, სახელმძღვანელოთ მიჩნიოს ყველამ, რომ კანონების მტკიცეთ დაცვა, რაიცა ყოველ მოქალაქეს მოეთხოვება, სრულებით არ ნიშნავს მოქალაქეთადმი უდიერათ მოპყრობას ან მის თვითნებულ შევიწროვებას. უნდა ახსოვდეთ ყველას, რომ ერთნაირათ სასტიკი პასუხი მოეთხოვება ყოველ მოხელეს, როგორც კანონის დარღვევისათვის. აგრეთვე კანონების ნიღაბ ქვეშ დაშვებულ თვითნებობისა და მგზავრებთა და ვაჭრებთა უზრდელათ მოქცევისათვის. ყველა მოხელეები უნდა სცდილობდნენ ერთსულოვნათ მუშაობას, და აგრეთვე იმასაც, რომ ვინმემ მათვანმა საბაჟო სახელი არ შეარცხვინოს და არ შებღალოს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილი სცდილობს ბათუმის საბაჟოს მოხელეთა ნივთიერ უზრუნველყოფას და ამიტომ კატეგორიულათ მოვითხოვთ მათგან ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებათა ასრულებას, რაშიც იმედია დამეხმარება თვით შეგნებული ნაწილი ბათუმის საბაჟოს მოხელეებისა. ამასთანავე არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ თუ რომელიმე მოხელე არ გაუწევს ენგარიშს ყოველივე ზემო მოყვანილ და თავის მოქმედებით შეარცხვანს და გაუტეხს სახელს საბაჟოს, განდევნილი იქნება საბაჟო უწყებიდან.

საბაჟო ნაწილის უფროსი ბ. **მიქაძე.**

საგაჯოთა რუსეთში.

სპეკულიაცია.

მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშევიკებმა ყველა წარმოების და ვაჭრობის ნაციონალიზაცია მოახდინეს, როგორც ქვემო მოყვანილ წერილიდან სჩანს ფარული ვაჭრობა და სპეკულიაცია ძალიან დიდ ხიანს აყენებს ბოლშევიკურ რუსეთს. ხარკოვის გაზ. „პროლეტარში“ მოთავსებულია წერილი, რომელიც ასე იწყება: „ქ-ბნი სპეკულიაცია ძალიან მარჯვე გაიძვერაა, თუმცა კი მსუქანი ქალბატონია. საბჭოთა ყველა განკარგულებებს, რომელიც მას შეეხება, ეს ქალბატონი ყურადღებასაც კი არ აქცევს. ჭეშმარიტათ, სპეკულიაცია, რაღაც ესეთი სულია, რომელიც ყველგან ჩნდება და ვერავინ ვერ დაიჭერს მას. ფაბრიკა-ქარხნები დახურეს—მან დაიწყო ვაჭრობა ჩუმათ, დამალულ ნაქურდალ ნაწარმოებებით. დახურეს ფეხსაცმელების და ფართლის სავაჭროები—მან დაიწყო კვასით, კიტრით და პაპიროსებით ვაჭრობა. ქ-ბნი სპეკულიაცია გააგდეს მთავარ ცენტრალურ ქუჩებიდან—მან არხეინათ მოიკალათა ბაზარზე. დახურეს ბანკები და საბანკო კონტორები—მან ბლაგოვეშჩენის ბაზარზე დაიწყო ფულით სპეკულიაცია, ამასთანავე ავრცელებდა ათას ცრუ ხმებს, რითაც აღადგინა ბირჟაზე თამაშის უსაშინელესი დღეები. სპეკულიაციას ფეხებზე ჰკიდია პურის რაციონი, სიძვირე, მონოპოლია და ნაციონალიზაცია. ქ-ბნი სპეკულიაცია დღეში იღებს 200—300 ათას მანეთს. საქონლის მოზიდვაც მოწყობილი აქვს. გლეხიც მას უჭირავს თავის მსუქან ხელებში“...

ცეცხლი.

„სარატოვის იზვესტია“ იუწყება, რომ ერთი კვირაა, რაც ქალაქში უზარმაზარი ცეცხლი გაჩნდა. ქალაქის ნახევარი ნაწილი ცეცხლის ალშია გახვეული. როგორც გამოირკვა, ცეცხლი რამდენიმე ალაგას ერთ და იმავე დროს გაჩენილა. ცეცხლი უკიდია ქალაქის ორმოცამდე უბანს. ქალაქის საგრძნობი ნაწილი განადგურებულია უკვე ცეცხლისაგან. დაიწვა საბჭოთა რამდენიმე დაწესებულების ბინა.

მსახიობები უცხოეთიდან.

მოსკოვის სახელმწიფო თეატრებმა სახალხო განათლების კომისარიატს სთხოვენ უცხოეთიდან მოიწვიონ მსახიობები საბჭოთა თეატრებისთვის, უმთავრესად მომღერლები, რომლებიც ამ ჟამად საბჭოთა რუსეთში საკმაო არ არიან.

პური მოსკოვში.

როგორც მოსკოვის „იზვესტია“ იუწყება, მცხოვრებლებს პურს იქ ურიგებენ შემდეგი ანგარიშით: 1 კატეგორიის—მუშებს—დღეში ერთ გირვანქას, საბჭოთა მოსამსახურეებს—$^1/_2$ გირვანქას, ხოლო მესამე კატეგორიის პირთ—დღეში $^1/_4$ გირ., ბავშვებს $^1/_2$ გირ., ძუძუთა ბავშვებისათვის—$^1/_4$ გირ.

ბოლშევიკურ ლიტერატურის დაწვა.

„როსტა“-ს ამსტერდამიდან აუწყებენ, რომ რიგაში მოუწყვიათ განსაკუთრებული ქარხანა ბოლშევიკურ ლიტერატურის დასაწვავათ. ამ ქარხანაში რამდენიმე ათეული ქალი მუშაობს.

რუმინიის ჯარი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

„ვონეც კრაკოვსკი“ იუწყება, რომ რუმინიამ 4 კორპუსი ჯარი გაგზავნა ბუკოვინასა და ბესარაბიაში.

შრომის დეზერტირობა.

„პრავდა“ სწერს, რომ მუშების გაცდენის წინააღმდეგ მიღებულ იქმნა სასტიკი ზომები, მაგრამ მიზანი მაინც გერ იქნა მიღწეული, რადგან თუ წინათ, როცა მუშები გასცდებოდენ „საპატიო მიზეზის“ გარეშე, ეხლა მართალია, ასეთი შემთხვევა შემცირდა, მაგრამ გაცდენილი დღეები მაინც არ შემცირდა, რადგან დღეების გასაცდენათ მუშებს ეხლა მოჰყავთ სხვა და სხვა „საპატიო“ მიზეზები. წინათ პირდაპირ, ყოველ მიზეზს გარეშე სცდებოდენ მუშაობას, ეხლა კი იმავე მიზნისთვის იგონებენ ავადმყოფობას და სხვას.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ბოლშევიკების აგიტაცია.

„დეიდში-ალგემეინე ცაიტუნგი“ იუწყება: ბოლშევიკები მიუხედავათ ესტლანდიასთან დადებულ ზავისა, მაინც ეწევიან აგიტაციას, რასაც სახელმწიფოს გაჭირვების მდგომარეობის გამო დიდი გასავალი აქვს.

დუნაის საერთაშორისო კომისიაში.

საბჭოთა მთავრობა პროტესტს აცხადებს დუნაის საერთაშორისო კომისიაში რუსეთის წარმომადგენლის მიუწვევლობის გამო.

ამერიკის ჯარი.

ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა 100.000 კაცით გაადიდოს თავის ჯარი.

რევოლიუციონ. მოძრაობა მესოპოტამიაში.

მესოპოტამიაში „დეიდში ალგმეინე ცაიტუნგის“ ცნობით რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. სამხრეთ ქურთისტანში აჯანყებამ იჩინა თავი. ბაკურში სპარსეთის მიმავალი რკინის გზა აყარეს.

გერმანელების საწინააღმდეგო მოქმედება.

„მორნინგ პოსტის“ ცნობით, რომელიც მას ვარშავიდან მიუღია, გერმანელები პოლონელების საწინააღმდეგო მოქმედებაში მრავლად ღებულობდენ მონაწილეობას. ტყვე და მოკლულ გერმანელთა რიცხვი ყოველ ალაგობით იზრდება. ბოლშევიკებში დაახლოვებით 3.000 სპარტაკელი ღებულობს მონაწილეობას.

ჩიჩერინის სახელზე გაგზავნილი საპასუხო ნოტა.

„დეილი ტელეგრაფი“ ჩიჩერინის სახელზე, გაგზავნილ საპასუხო ნოტას აქვეყნებს. ნოტაში რომელიც ბალფურმა კამენევს საშვალებით ჩიჩერინს გაუგზავნა, სხვათა შორის აღნიშნულია ის საზავო პირობები, რომელიც საჭიროა რუსეთმა პოლონეთს წარუდგინოს. ბალფური კმაყოფილებას გამოსთქვამს მის გამო რომ საბჭოთა რუსეთმა ხელი აიღო თავის მოთხოვნილებაზე, მოაწყოს პოლონეთში მუშათა მილიცია, შემდეგ მოყავს რა ადგილები რუსეთის ნოტიდან პოლონეთის პირობების შესახებ ბალფური სწერს: ჩიჩერინი დიდათ სცდება, თუ ჰგონია რომ ბრიტანეთის მთავრობას პოლონეთის ჯარის 50,000 კაცამდე შემცირება ოდესმე ზავის სამართლიან პირობათ მიაჩნდა. ბრიტანეთის მთავრობა ამას არ ფიქრობს იგი ფიქრობს მხოლოდ, რომ რუსეთის ასეთი მოთხოვნილება არ იძლევა საკმაო საბუთს რუსეთ-პოლონე-

თის საქმეებში ჩარევისათვის, მაგრამ საყურადღებოა შემდეგი: საბჭოთა მთავრობას უკვირს ის რო ბრიტანეთის მთავრობა იწონებს იმას რომ პოლონეთს უფლება ეძლევა სამოქალაქო მილიციის სახით შეკრიბოს დამატებითი ძალა. ბალფური ამბობს რომ ალბათ ჩიჩერინის ეს სიტყვები ხუმრობაა, რომლის ახსნა სასურველი არის. შემდეგ ბალფური კატეგორიულად აცხადებს: ინგლისის ხალხს უნდა თავიდან აიშოროს ბრძოლა საბჭოთა რუსეთთან, მაგრამ დიდი ბრიტანეთი დაჟინებით დაიცავს პოლონეთის დამოუკიდებლობას. რუსეთი არა ერთხელ გვარწმუნებდა, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობა დაცულ იქნება. მაგრამ ახლო წარსულის საბჭოთა ჯარების გამარჯვება წინააღმდეგს ამტკიცებდა. რუსეთმა თავისი რწმუნებით მოატყუა დიდი ბრიტანეთის პარლამენტი და ხალხი. ვისთვის და რა საჭირო იყო ეს ტყუილი—ამის გაგება ადვილია—შეიარაღებული ძალა, თავმოყრილი მცხოვრებთა ერთი კლასიდან არის დაუშვებელი და ძალით მოახვევდა თავს პოლონეთს მისთვის მიუღებელ ძალა-უფლებას და მაშასადამე დაარღვევდა პოლონეთის დამოუკიდებლობას და იქნებოდა მუდმივი საბჭოთა საფრთხე ქვეყნის სამოქალაქო წესებისთვის. დასასრულ ბალფური სწერს, რომ ჩიჩერინი შეუდგა რუსეთის და დიდი ბრიტანეთის მუშების ხელფასის შედარებას და ამასთანავე აღნიშნავს, რომ ინგლისელი მუშები გაცილებით ნაკლებს იღებენ, ვიდრე რუსეთის მუშებიო. ბალფური აღნიშნავს, რომ მას სრულიად არ სურს ამ საკითხზე ლაპარაკი, მხოლოდ მისცემს თავის თავს ნებას, აღნიშნოს რომ საბჭოთა მეთოდი მდიდარსაც კი აღარიბებს. ძნელია ღარიბის გამდიდრება. რუსეთმა დაამტკიცა, რომ ამის მიღწევა მას არ შეუძლია.

სოციალისტური დელეგაცია პროვინციაში.

სექტემბრის 19-ს ნაშუადღევს იდარა, მთელი სამხედრო გზა გაივსო ხალხით. მწყემსები უხედებიან ავტომობილებს და მინდვრის ყვავილებისაგან შეკინძულ თაიგულებს უძღვნიან: ფასანაურში დელეგაცია პირველის ნახევარზე მივიდა. ბავშვები და ქალები ავტომობილებს ყვავილებს ესვრიან. ისმის ვაშა და მარსელიოზა: ხალხის სახელით გიგო ბედოიძემ სალამი უძღვნა სტუმრებს და სთხოვა გადასცენ ევროპის მუშებს, რომ საქართველოს დემოკრატია მუდამ განუყრელად იქნება ევროპის პროლეტარიატთან. ამის საპასუხოთ ვანდერველდემ სთქვა: მთელი დელეგაციის სახელით უნდ მოგახსენოთ. რომ ჩვენ ვიცოდით, რომ მთები აკვანია საქართველოს თავისუფლების, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით და ვერ წარმოგვედგინა, თუ წითელი დროშა ფრიალებდა ამ მწვერვალებზე. ჩვენ წავალთ ევროპაში და მიუტანთ ამბებს თქვეს ამხანაგ მუშებს, რომ კავკასიონის ქედზე ფრიალებს წითელი დროშები და საქართველოს მშრომელი ხალხი ამხანაგურ ხელს „გიწვდითქო". დაღსრულებელმა ვაშამ და ტაშის ცემამ დაფარა ვანდერველდეს სიტყვები. ამას მოყვა ბავშვების სიმღერები და ცეკვა. შემდეგ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დელეგაცია სადილათ მიიპატიჟეს, სტუმრებმა ფრანგულათ ინტერნაციონალი იმღერეს. ვანდერველდემ ინტერნაციონალის შესრულების შემდეგ სთქვა: „მე აღფრთოვანებული ვარ ქართველების სტუმართ მოყვარეობით. მე ვგრძნობ და ვხედავ, რომ ეს არ არის ერთ, რომელიმე კლასი ან პარტია, არამედ ეს არის მთელი ერი, მთელი ხალხი და მას უსურვებთ ჩვენ დღეგრძელობას ამ მთებში ტ ვუმღერთ ევროპის ძუშათა კლასის სიმღერას ინტერნაციონალს. შოუმ სთქვა: „მე მიხდა გამოვხატო ჩემი გრძნობა არა სიტყვებში, არამედ სიმღერაში, რომელიც ინგლისელებისთვის უდიდეს მეგობრობას გამოხატავს. ამ ხალხს ვერ ეტყვი სიტყვებს უფრო ლამაზს, ვიდრე მისი მომხიბლავი ბუნებაა. „შემდეგ მღერიან დიდი რევოლიუციის სიმღერებს. სნოუდენმა სთქვა: „მე მინდა მადლობა გადაუხადო იმ ქართველ ქალს, რომელმაცასეთი შვილები აღზარდა ტ შესძლო ჩვენი ასე შეხვედრა. მწამს, რომ ეს ქალი მომავალში კიდევ უფრო მეტს შესძლებს კლასის საკეთილდღეოთ". სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ვალიკო ჯუღელმა და ბენია ჩხიკვიშვილმა. სოულ ს მ საათზე ხალხის საერთო სიხარულში და ვაშ ს ძახილში დაიძრენ ავტომობილები. უკვე მოიწმინდა. მზემ გამოანათა. გამოჩნდა თოვლიანი მწვერვალი ყაზბეგისა. მთების სილამაზე ათას ფერად გადაიშალა. ყვავილებით მორთული ავტომობილები მიქრიან თვალწარმტაც გზაზე, რომელთაც ყოველ სოფელთან ხვდებიან ცხენოსანი მოხვეები და წითელი დროშებით აცილებენ. კობამდე მისვლაში დაღამდა. ცა მოწმენდილია. მთვარე თოვლიან მთებში განათებულ კელაპტრათ მიჰყვება მგზავრებს. კობელები გამოეფინენ ამ შარა გზაზედ და ცხენოსან მედროშეს პირით შემოთვალეს: სტუმრები ღვთისაა ჩვენ გიცდით და უთუოდ უნდა მობრძანდეთო".

მიჰქრის თეთრ ცხენზე შემჯდარი მედროშე ავტომობილების წინ ამ ღამის გაყრისას ამას აქვს რაღაც განსაკუთრებული სილამაზე კობელებს მიესალმა ვანდერვალდე, რის შემდეგ სამოცი ცხენოსანის თანხლებით წითელი დროშებით ავტომობილების კორტეჟი დაიძრა ყაზბეგისაკენ. მაგრამ პროცესიას გზაში სიონი გადაეღობა აქ თავი მოუყრია ნახევარ ხევს. ჩამოსულან მთიდან ორასი ცხენოსანი შეიარაღებული ხევსური, რომლებმაც ავტომობილების გამოჩენისას იშიშვლეს ხმლები და პატივის ცემის ნიშნათ ძირს დაჭარეს „გაუმარჯოს" ხმა ცამდის ადის ამას ემატება სამასამდე ცხენოსანის შეწყობილი ფეხის ხმა და რაღაც გრანდიოზული სურათი გამოდის. სიონში ხალხის სახელით სტუმრებს გლეხი ანდრია კობოიძე მიესალმა ის ამბობს: „მეთორმეტე საუკუნიდან ქართველი ერი ალყა შემორტყმული მონგოლთა ურდოებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა. ამ მთებში ჩვენი ხალხი ხმალ ამოწვდილი იცავდა თავის თავს და მეგობარს ვერ პოულობდა. ერეკლეს დროიდან კი როცა დასუსტებული ქართველი უძლური იყო დაეცვა თავი ოსმალეთიდან ორივე თვალით გაჰყურებდა ევროპას. გაშვერილი ჰქონდა ხელები მეგობრებისაკენ, მაგრამ ცაში რჩებოდა. მიგვიყვანეს სწორეთ დესპოტიურ რუსეთის უღელში შებმამდე. მაგრამ დღეს აღსრულდა ნატვრა. დღეს ჩვენც ვხედავთ მთებში ევროპის საუკეთესო შვილთა წარმომადგენლებს და „მიერიდან გზა საქართველოსა და ევროპის შორის გახსნილია. ჩვენ ვიბრძოლეთ ამ გზის შესარჩენათ საერთაშორისო მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. „გაუმარჯოს ჩვენს საერთო წითელ დროშას გაუმარჯოს ძვირფას სტუმრებს" იელვა მოხვეე ხევსურთა ხმლებმა და სიტყვა „ვაშამ" დაფარა. საპასუხო სიტყვას ამბობს ვანდერველდე „მთის შვილნო თავისუფალ საქართველოს მოქალაქენო ჩვენ ევროპიელებს როდესაც ვხედავთ ამ მაღალ მწვერვალებზე აფრიალებულ წითელ დროშას არ გვიკვირს ეს ვინაიდან თქვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის თავდებია ამ სიმშვენიერის. თქვენ მიერ ევროპისკენ გაწვდილ ხელებს მაგრათ კიდებს თავის ხ ლებს ევროპის მუშები და ამიერიდან „ჩვენს კავშირს ვერავინ გასწყვეტს" საერთო „ვაშას" და ტაშის ცემით აცილებენ ავტომობილებს ყაზბეგისკენ, რომელიც მშვენივრათ არის მორთული, არის არკა წარწერით: სალამი სტუმრებს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს. ავტომობილების კორტეჟს წინ მიუძღვება ორასი ცხენოსანი, ხოლო ამდენივე ავტომობილებს მოსდევს.

გაგრძელება იქნება.

იუსტიციის სამინისტროში.

დამოკიდებულება უცხოეთის სასამართლო დაწესებულებებთან.

კანონების გადამსინჯავ კომისიაში შეტანილია პროექტი საქართველოს სასამართლოს დაწესებულებათა და უცხოეთის სასამართლო დაწესებულებათა შორის პირდაპირი დამოკიდებულების შესახებ: ამდენ ხანს ასეთი დამოკიდებულება საგარეო საქმეთა სამინისტროს საშვალებით სწარმოებდა.

ბრძოლა სპეკულიაციასთან.

საოლქო სასამართლოს პროკურორის კანცელარია იუწყება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსის შემდეგი დადგენილების გამოცემის შესახებ: მივიღეთ რა მხედველობაში, რომ: 1) ს. ცარნა, 2) კ. იტინი, 3) მ. მაიზელსონი, 4) ი. ზჩიპეტინი, 5) ზ. სიმონიანცი, 6) მ. სიმონიანცი, 7) ნ. კალამკაროვი, 8) გ. ხერხეულიძე, 9) ა. კაზანოვიჩი, 10) ს. ლანდაუ, 11) ივ. კორსუნკი, 12) მ. ღლონტი, 13) ს. ბორჩიკოვი, 14) ს. აზუმანოვი, 15) ბ. იოფე, 16) ლ. იოფე, 17) მ. იოფე, 18) კარახანიდი, 19) მ. გერმანოვიჩი და 20) მანდელშტამი ყიდულობდენ და ყიდიდენ რუსეთის და ევროპის ვალიუტას და მასზე საშინელ სპეკულიაციას ეწეოდენ, რითაც ისინი სცემდენ ადგილობრივი ფულის კურსს და ქმნიდნენ ფინანსიურ კრიზისს სახელმწიფოში, დაადგინა: აღნიშნული პირები მოათავსოს ტფილისის ციხეში.

ცვ. ქალაქის ოვიოთმმართველობაში

უკანასკნელი დადგენილებანი:

— სახალხო გვარდიის სამნეო განყოფილების მიერ განზრახულ რძის ფერმის მოსაწყობად ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ამ მიზნისთვის იძულებითი ჩამოერთვას ძმათა სეიდანოვების შენობა. შტაბის წარმომადგენელის ჯიბლაძის ვანმარტებით ამ შენობაში რძის ფერმის მოწყობა ხელსაყრელია შემდეგი მოსაზრებით: 1) ნავთლუღის ახლო მდებარე მიდამოები კარგ საძოვარ ადგილს წარმოადგენს; 2) ტფილისში ამ ფერმის მოწყობა მშრომელ ელემენტს და აგრეთვე საავადმყოფოებს და სხვა და სხვა დაწესებულებათ შეძლება მიეცემად კარგი ხარისხის, და ამასთანავე იაფ-ფასებში, შეიძინონ რძე; 3) თვალყურის დევნა და კონტროლი ამ ადგილას ადვილი იქნება; 4) ამ სადგომის ახლო მდებარე ადგილები იძლევა საშუალებას, რომ საქონელი ზამთარ-ზაფხულ ერთს ადგილას იყვეს, რაიც საგრძნობლად აადვილებს ფერმის შემოსავალს და არსებობას.

— სასურსათო განყოფილების გამგეს კ. ფანიევს ქალაქის გამგეობამ ნება დართო აიღოს სესხის სახით იტალოკავკასიის ბანკიდან ოცი მილიონი მანეთი სასურსათო ოპერაციების საწარმოებლად.

— ქალაქის ლომბარდს საბრუნავ თანხის გასაძლიერებლად გამგეობამ სესხის სახით მისცა 100.000 მანეთი 27 სექტემბრამდის.

— ცხოვრების გაძვირების გამო გამგეობის მიერ სოციალურ დახმარების თანხები გადიდებულია 100 %. ტფილისის სოციალ-დახმარების ცენტრალურ საზოგადოებას 75.000 მანეთის ნაცვლად მიეცემა 150.000 მანეთი, ქალაქის სასადილოების გაცემულ უფასო სადილების ასანაზღაურებლად 19,200 მანეთის ნაცვლად გაიღება 38.000 მანეთი; მოხუც და უპატრონო ქალთა შესანახად 15.000 მანეთის ნაცვლად 30.000 მანეთი.

— ქალაქის ყველა კომისარიატებში დაარსდა სამხედრო მაგიდა. ეს მაგიდა განსაკუთრებით სამხედრო საქმეების საწარმოებლად იქნება.

— კარუსელ-საქანელეების მეპატრონეები ქალაქის გამგეობამ დაბეგრა შემოსავლიდან 10 პროცენტით.

— ქალაქის გამგეობამ განიხილა ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლთან წარმოდგენების მმართველ სექციების კომიტეტის წარდგენილი წარმოდგენებზე ახალი ფასის დაწესების შესახებ და დაადგინა, რომ ქალაქის საბჭომ დაამტკიცოს კომიტეტებისგან წარმოდგენილი სახალხო წარმოდგენებზე დაწესებული ახალი ფასები.

ვაჭრობა-მრეწველობა

ფირმების მოწმობები.

სავაჭრო სამრეწველო პალატამ შეადგინა ცნობები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველოს ფირმების მოწმობათა შესახებ. მიმდინარე წელს ტფილისის გუბერნიაში გაიცა 9158 მოწმობა, 1918 წ. კი 7932. ქუთაისის გუბერნიაში წელს 8260 მოწმობა გაიცა—1918 წ. 5714.

ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა.

პალატამ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე აღძრულ შუამდგომლობას კომერციულ დეპეშების მისაღებად საკუთარ რადიოს დაარსების შესახებ.

ცენტრო-ბანკი.

ცენტრო-ბანკის გამგეობამ დაადგინა თავის კლიენტებისა და კორესპოდენტების საჭიროებისათვის მოაწყოს საინფორმაციო განყოფილება, რომლის მიზანიც იქნება: 1. ყოველდღიური ცნობის მოწოდება ვალიუტისა და მაზრის ფასების შესახებ. 2. ბაზარზე დამზადებულ საქონლის რაოდენობის გამორკვევა. 3. სტატისტიკური ცნობების შეკრება საექსპორტო და საიმპორტო საქონლის შესახებ. 4. უცხოეთის ბაზრების შესწავლა. 5. საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის შესწავლა. გამგეობა ფიქრობს საინფორმაციო განყოფილებაში მონაწილეობა მიაღებიოს ბათომის და სტამბოლის განყოფილებებს და აგრეთვე მარსელის და ლონდონის თავის აგენტებს.

სატარიფო პალატაში

სატარიფო პალატამ სექტემბრის 13 სხდომაზე განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ტრამვაის დირექციის პროტესტი, აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ პალატამ სამართლიანად სცნო პრეზიდიუმის განმარტება. ამასთანავე 8 საათზე მეტის მუშაობაში ხელმეტი ჯილდოს მიცემის საკითხი ცალკე იქნება განხილული. 2) ჭიათურის მაღაროში მომუშავეთა და დამტვირთველთა ტარიფი. ეს საკითხი განხილულ იქნება იმიტომ, რომ ჯილდო მუშების მიერ მცირეთ იქნა ცნობილი. მრეწველობის მიერ ძლიერ დიდათ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა შრომის კომისარმა ელბაქიანმა. საკითხის განხილვის შემდეგ სატარიფო პალატამ მიიღო შრომის კომისრის ელბაქიანის პროექტი ბაქანთა 4 კატეგორიად დაყოფის შესახებ და ამისდა მიხედვით ფასის გადახდა 1 მ. 20 კ. 1 მ. 40 კ. 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ფუთ მარგანეცზე. მე-4 კატეგორია დროებით გამოყოფილ იქნება იმავ აუცილებელ პირობით, რომ მოკლე ხანში მისი ლიკვიდაცია მოხდეს. შემდეგ დაადგინეს გაადიდონ ჭიათურის მაღაროების მომუშავეთა ხელფასი ისე რომ მუშა რომელიც იღებდა 250 მან. მიიღებს 325 მან. და სხვა. ტარიფის დაწვრილებითი შემუშავება პალატის პრეზიდიუმს მიენდო. შემდეგ განიხილეს 1) ფოთის დამტვირთავთა, 2) სამკურნალო დაწესებულებებში მუშათა და მოსამსახურეთათვის გადარჩენილ თანხის და მომარაგების ფონდიდან სურსათის მაგიერ ფულის მიცემის საკითხი.

ახალი ამბები

ახალი ფასები ღვინოზე. სურსათ-საწოვაგის და მასალის გაძვირების გამო 20 სექტემბრიდან ტფილისის სახელმწიფო ღვინის საწყობებმა ღვინის ფასი გაადიდა ამ გვარად: № 24, 46, 47, 52, 65, 66, 72—ბოთლი აქც. 180 მან. № 18, 45, 64—200 მანეთი, № 48—230 მან. ძველი ღვინოები—400 მანეთი; ვედრობით—2000—2500 მანეთამდის. ვარციხის ღვინო ბოთლი—80 მან. ბათუმში ღვინო 50 მანეთით მეტი ეღირება. უმაღლეს ხარისხის კონიაკი გაიყიდება—800 მანეთად.

შენიშვნის მიცემა. პროკურორის ამხანაგს ამირეჯიბს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოეცხადა შენიშვნა თავისი უტაქტო საქციელის გამო სომხეთის წარმომადგენელ ქიშმიშოვის მიმართ.

დამფუძნებელი კრების წევრები ბრიგიციაში. დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის დავალებით ჯავის რაიონში მიემგზავრებიან დამფუძნებელი კრების წევრნი: პ. გელეიშვილი, კ. ნინიძე და ვ. ცაბაძე. ისიდორე რამიშვილი მიემგზავრება ქვედა იმერეთში. გ. აბაშიძე და პ. გელეიშვილი ჯავის რაიონის დაბრუნების შემდეგ ბათომის ოლქში გაემგზავრებიან.

სასურსათო განყოფილება იუწყება, რომ მან შეიძინა ბათომში ათი ვაგონი ყვითელი შაქარი ფხვნილი, რომელიც დღემდე ვერ იქმნა ჩამოტანილი კინტრიშის ხიდის გაფუჭების გამო.

ყაჩაღების დევნა. 16 სექტემბერს ტფილისის მაზრის მილიციის უფროსი ნაშუადღევის 2 საათზე დაედევნა ავჭალის ახლოს ყაჩაღებს, რომლებიც ძარცვავდენ ქალაქიდან სოფლებში მიმავალ მგზავრებს. ერთი ყაჩაღთაგანი სროლის დროს მოკლულ იქმნა, ხოლო დანარჩენებმა დაჰყარეს გზაზე ნაძარცვი ნივთები და გადაცვივდნენ ხევში. მაზრის მილიციამ მისდია სროლით ავაზაკებს თიანეთის მაზრის საზღვრებამდე, სადაც ყაჩაღები მიიმალნენ დაღამების და წვიმის გამო. მოკლულ ყაჩაღს აღმოაჩნდა სახაზინო თოფი და და 95 ვაზნა. მილიციის მხრით არავინ არ დაშავებულა.

ქუთაისი

ქუთაისის სავაჭრო საქციონერო საზოგადოების აქციონერთა პირველი საზოგადო კრება.

(საკუთარ კორესპონდენტიდან)

კრება გახსნა 1920 წელს 12 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე საზოგადოების საორგანიზაციო გამგეობის თავმჯდომარე დ. თოფურიძემ.

კრებაზე გამოცხადდა 26 აქციონერი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 16.264.000 მ-

ნეთის ღირებულების აქცია ეკუთვნის იმ აქციონერებს, რომელთაგან საზოგადოების საჭიროებისათვის ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრების დადგენილებით სხვადასხვა ქონებაა შეძენილი, დანარჩენი 13.736 აქცია 13.763.0000 მანეთის ღირებულების ნაღდ ფულზე არის შეძენილი აქციონერების მიერ. ამ ცნობების მიღების შემდეგ საზოგადოების წესდების 55 მუხლის ძალით თავმჯდომარემ აქციონერთა პირველი საზოგადო კრება გამოაცხადა კანონიერად და კრების გასაძღოლად ითხოვა თავმჯდომარის და მდივნის არჩევა. კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია დ. ა. თოფურიძე, მდივნად კი ი. ბახტაძე.

პირველად თავმჯდომარემ მოახსენა კრებას ვისგან და რა პირობებში შეიძინა საორგანიზაციო გამგეობამ საზოგადოებისათვის სხვა და სხვა მოწყობილობანი და მანქანები.

კრებამ საორგანიზაციო გამგეობის მიერ სათანადო აქტებით შეძენილი ქონება მიზანშეწონილად და მისაღებად იცნო.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ აქციონერებს გააცნო ტყის საქმის და საქსოვ-საფეიქრო მექანიკური ქარხნების მოწყობის საკითხი და ამ საქმეების მოსაგვარებლად ითხოვა 1) ნება დართოს კრებამ გამგეობას: საბჭოს დასტურით შეიძინოს უძრავი მამულები და მოაწყოს ქარხნები;

2) წესდებით განსაზღვრული ძირითადი თანხის განაღდებისას კრებამ ნება დართოს გამგეობას საბჭოს დასტურით და მთავრობის სათანადო ნებართვით ეს თანხა ას ოც მილიონამდე გაადიდოს;

3) გამგეობას ნება მიეცეს საბჭოს დასტურით საზოგადოებაში მოიწვიოს მოსამსახურე პირები, განსაზღვროს ამათი მისაცემი ჯილდო და გასწიოს ყოველგვარი საზოგადოების საქმეებით გამოწვეული ხარჯები პირობით არა უგვიანეს 1921 წლის 1 იანვრისა წარედგინოს საზოგადო კრებას წლიური ხარჯთაღრიცხვის გეგმა და სათანადო ინსტრუქციები, როგორც გამგეობისათვის აგრეთვე საბჭოსათვის;

4) უფლება მიეცეს გამგეობას სათანადო შუამდგომლობით მიმართოს ფინანსთა მინისტრს შეცვლილ იქნეს წესდების მე-40 მუხლის იმ წესით, რომ სავაჭრო საქონლის ყიდვა-გაყიდვის და დაგირავების უფლება გამგეობას მიენიჭოს საბჭოს დაუდასტურებლად.

კრებამ იქონია ამ წინადადებებზე ხანგრძლივი მსჯელობა და ყველა ისინი მან ერთხმად იცნო მიზანშეწონილად და მისაღებათ.

ამის შემდეგ კრება გადავიდა გამგეობის, საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვის და მათი შრომის ჯილდოს რაოდენობის განსაზღვრაზე და დაადგინა: შესდგეს გამგეობა ხუთი და საბჭო თვრამეტი კაცისაგან; დაენიშნოს თვეში ჯამაგირი გამგეობის თავმჯდომარეს სამოცი ათასი (60.000) მანეთი; თითო გამგეობის წევრს ორმოცდა ათი ათასი (50.000) მანეთი; საბჭოს თავმჯდომარეს შრომის ჯილდოთ თვიურათ მიეცეს 15.000 მანეთი; საბჭოს თითეულ წევრს შრომის ჯილდოთ თითო კრებაზე დასწრებისათვის ხუთასი (500) მანეთი; დამატებით ქუთაისის ქალაქის გარეშე მცხოვრებ საბჭოს წევრს მიეცეს ფაქტიურად გაწეული სამგზავრო და სხვა ხარჯები. მთელ შემადგენლობას წლიურად დაენიშნოს 250.000 მანეთი.

ჯერჯერობით თავისუფალი დარჩეს გამგეობაში ერთი და საბჭოში ორი წევრის ადგილი რაჭის მაზრის წარმომადგენელთითვის.

ამის შემდეგ კრება გადავიდა გამგეობის, საბჭოს, სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების არჩევნებზე.

გამგეობაში არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ დ. ა. თოფურიძე; გამგეობის წევრად: ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ი. ი. პურადაშვილი და კ. ყ. დათეშიძე.

კანდიდატებათ: ა. ჯაფარიძე, გ. ტუსკია და გ. სვანიძე.

საბჭოში: ლ. გრიგოლია, ლ. შენგელაია, ა. ემუხვარი, პ. გოთუა, იტალიური კავკასიის ბანკის მართველი პინტო, მ. ლაღიძე, ი. საბახტარაშვილი, მ. ფიჩხაძე. პ. რაფაელოვი, გ. საბახტარაშვილი, ნ. საბაევი, გ. ქავთარაძე, ა. ელგულაშვილი, რაიხერი, ს. ჭანტურიშვილი და ვარაზიშვილი.

სარევიზიო კომისიაში: ს. კედია, ტ. ჯაფარიძე, ა. მეფისაშვილი, გ. ცინცაძე და მოქ. ბრეგვაძე.

სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატებათ კი: ა. ჯაყელი, შ. კურდღელაშვილი და შ. იაკობიშვილი.

X.

ხელოვნება.

საოპერო სეზონი.

სახელმწიფო თეატრი დიდი ხანია რაც შეუდგა საოპერო სეზონის სამზადისს. წელს ოპერა სახელმწიფო თეატრში თითქმის სახელმწიფო ხარჯზე იქნება. მთავრობა თეატრს სუბსიდიით ეხმარება. თეატრის ადმინისტრაცია ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ სეზონი საინტერესო და შინაარსიანი გამოდგეს. დასი შევსებულია საუკეთესო ძალებით. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ორკესტრს და ხოროს, რომელიც ყოველთვის მოისუსტებდნენ წინად. ორკესტრის პერსონალთა შემადგენლობა წელს იქნება— 51 კაცი, ხორო—53; ამას გარდა დიდ მზადებაშია ბალეტიც. ბალეტის გასაფართოებლად მოწვეულნი არიან ახალი მოცეკვავენი. ბალეტს განაგებს ისევ ბალეტმეისტერი ვაკარეცი. სახელმწიფო თეატრთან დაარსდა საბალეტო სკოლა, პერინის ხელმძღვანელობით. ეს სკოლა შეჰქმნის მომავლისთვის ბალეტის ახალ კონტინგენტს. სკოლაში მოწვეულნი არიან პეტროგრადის მარინის თეატრის რეჟისორი სერგეევი და პლასტიკის მასწავლებლად მოსკოვის თეატრების მსახიობი ქალი ვალენტინა ულენტი. დაიდგმება ერთი ბალეტი „გედის ტბა“. ამ ბალეტს დასდგამს სერგეევი. განზრახულია სრულიად ახალი დეკორაციებით დაიდგას შემდეგი ოპერები: „ევგენი ონეგინი“, „ჰუგენოტები“, „სევილიელი დალაქი“ და „ლოენგრინი“. ქართულად ამზადებენ „ღალატს“ იპოლიტოვ—ივანოვის. რუსულ ოპერებიდან განახლდება „ბორის გოდუნოვი“.

განზრახულია მოცარტის „დონ-ჟუანიც“ დაიდგას, რომელიც დიდი ხანია ტფილისის სცენაზე არ დადგმულა. ქართულ ახალ ოპერებიდან დაიდგმება მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“ და ვიქტორ დოლიძის „ლეილა“. ამ სეზონში მოსალოდნელია იტალიელ მომღერლების გასტროლები. მოწვეულნი არიან საგასტროლოდ: რუსეთიდან სიბირიაკოვი და სობინოვი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო თეატრში დიდი მზადებაა და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ წელს საოპერო სეზონი კარგი იქნება.

სენატი

1920 წლის სექტემბრის 23 სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საკასაციო პროტესტი ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ყანჩელისა სასამართლო პალატის 1919 წ. 17 დეკემბრის განაჩენზედ, რომლითაც ლუკა სიჭინავას ბრალად ედება დანაშაული გათვალისწინებული რესპ. 1918 წ. 17 სექ. კან. I ლიტ. და 2 მუხ. სპეკულიაციის წინააღმდეგ.

საკასაციო საჩივარი ბრალდებულ დავით კოპლაშვილის ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავეთ 1454 მუხ. აღნიშნულ სასჯ. დებ. ბოროტ-მოქმედებაში.

საკასაციო საჩივარი ფეოდოსია ცერცვაძის რწმუნებულის ნაფ. ვექ. თანაშ. ლოლაძის ქუთაისის ოლქის მომრიგ. მოსამ. ყრილობის 1919 წ. 29 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც ცერცვაძე ცნობილია დამნაშავედ მართა მგალობლიშვილის მოქმედებით შეურაცყოფაში.

საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ ნატალია და მელენტო ბარდაველიძეების დამცველის ნაფ. ვექ. ვარლამ არდიშვილისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი ცნობილნი არიან დამნაშავედ 13 და 1454 მუხ. აღნიშნულ სასჯ. დებ. ბოროტმოქმედებაში.

საკასაციო საჩივარი ბრალდებულ მედჯიდ მოგუკაროვის, სოხუმის საგანგ. სასამართ. განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ 1630 და 1632 მუხ აღნიშნულ სასჯ. დებ. ბოროტმოქმედებაში.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების სასამართლო სხდომაში 1920 წლის ოქტომბრის 6 დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

საჩივარი უმცროს მილიციელის სილოვაძისა ტფილისის ქალაქის გამგეობასთან ბინის შესახებ (რეკვიზიციის).

საჩივარი გიორგი კონსტანტინეს ძე პიტოევის რწმუნებულის ნაფიცი ვექილის ქალანთარისა ტფილისის ქალაქის გამგეობასთან ბინის რეკვიზიციის შესახებ.

საჩივარი დიომიდე მალხაზი ძის ლონღაძის რწმუნებულის მიქაბერიძისა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაზე მისი მარწმუნებლის დაპატიმრებისა გამო.

საჩივარი გიგო და კინტირია გოგუებისა გუმისთის სამაზრო ერობასთან მიწის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელ დეპეშებისა

19 სექტემბრისა.

ონიდან—ჯანიძეს, ბათუმიდან—დვორეცკის, ბათუმიდან—ევრო, თელავიდან—გურასპაშვილს, შორაპნიდან—აბრამოვს, ბათუმიდან—კოკაიას, ქუთაისიდან—ნემსიწვერაძეს, სამტრედიიდან—შაფშეშვილს, თელავიდან—მამულიშვილს, ქუთაისიდან—მოშენეშვილს, ერევნიდან—ადამიას, ქუთაისიდან — წერეთელს, ეკატერინოვკიდან—ჩხიკვიძეს, გაგრიდან — დარახანოვს, ქუთაისიდან — ჯანუაშვილს.

განცხადებანი

დაიკარგა მოწმობა № 2263. შალვა ვლადიმერის ძე ჭანიკაშვილის სახელობაზედ, მოცემული ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სამხედრო განყოფილებიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2820 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ბათუმის ქალაქის გამგეობიდან აარარ ანტონას ძე ვართანიანცის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2803 3—2

დაიკარგა მეტრიკული № 2193. მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან ანნა ალექსანდრეს ასულის ავალიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2758 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული სომხეთის წარმომადგენელიდან ტფილისში და მეტრიკული ამონაწერი სოფ. ბაიკარის სუფ ფირგიჩის ეკლესიის მღვდლისგან რუბენ გაბრიელის ძე ბაგრატუნის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2743 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 697. მიღებული ეკატერინოსლავის რავვინისგან 1917 წ. 1 ივლისს ისააკ მარკის ძე შვარცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2750 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული კინჩხის საზოგადოების კომისრისაგან, პირადობის მოწმობა და სამხედრო სამსახურის ნუსხა მიქტორ ივანეს ძე გახოკიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს, 2760 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო ბეგრის უფროსისგან № 5080, ალექსანდრე შალვას ძე ნიკოლაიშვილის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2764 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოწმობა მიღებული ტფილ. სამხედრო უფროსისგან 24 მაის 1920 წ. იუდელ ხიიმის ძე მანიევიჩის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს, 2769 3—3

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 298, მიღებული ბათომის ვაჟთა გიმნაზიიდან აქვსენტი იაკოფის ძე დიმიტრიევის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2770 3—3

დაიკარგა ტფილისის I კერძო ლომბარდის ბილეთი № 88560, 2150 მან. ღირებულების გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2773 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან ელიშაკ იაკოფის ძე ელიშაკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2796 3—2

დაიკარგა ტვირთის ბარათები №№ 3612 და 3613 თითო 610 ფუთი ნავთის ბაქოდან, ტფილისში გადმოსატანი. იანკელევიჩის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2798 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან დესდემონა ევგენის ასული ტერიანის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2744 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან ვერა ლევანის ასული თოიძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2746 3—3

დაიკარგა მოწმობა და ატესტატი მიღებული ტფილისის რეალური სასწავლებლიდან 1918 წ. ისაკ მარდუხის ძე შვარცის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2775 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან № 16959, ევდოკია ილიას ასული არონინას სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2778 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 123, მიღებული ბახვის ერობიდან 31 დეკემბერს 1919 წ. მელქისედეკ ივანეს ძე ბოლქვაძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2783 3—3

მარიამ ბეჟანის ასული ბიძინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი გაუქმებულად ჩაითვალოს. 577 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდან, მოწმობა მიღებული 1857 წ. ადგილობრივ მცხოვრებლობის და ორი ავადმყოფობის მოწმობა მიღებული მიხეილის საავადმყოფოდან თეფილია სტანისლავის ასულის აპოლონის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.
კ. უფ. 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 188 და რევოლვერის ტარების მოწმობა № 539 მიღებული ჭიათურის სახალხო გვარდიის შტაბიდან გვარდიელ პავლე ლუარსაბის ძე გამყრელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 900 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან მეტრიკული მოწმობა მიღებული ახალციხის მაზრის სამმართველოდან და სათადარიგო ჯარის კაცის მოწმობა მიღებული ახალციხის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან ისაკ ევუშვაქის ძე ანტოშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2807 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ქ. ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1905 წ. 11 ნოემბერს № 7912. ელისაბედ მიხეილის ასულის თაიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2808 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან იოსებ ქრისტეფორეს ძე მჭედლიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2813 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან ანნა სიმონის ასულის ტრეტიაკოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2814 3—1

დაიკარგა მატრიკული № 157 და მოწმობა მიღებული ტფილისის პოლიტექნიკუმიდან ბენედიკტე გერასიმეს ძე ლორიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2816 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან ტატიანა ილიას ასულის იანზინას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2817 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული მე-15 სათადარიგო ბათალიონიდან და პირადობის მოწმობა მიღებული მე-2 ქვეითა ათასეულის კანცელარიიდან ეკატერინე ნიკოლოზის ასულის დონჯაშვილის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2818 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3669. ვლადიკავკავის ქალ. მილიციის სამმართველოდან პეტრე ტიტის ძე ფეფელოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2819 3—1

დაიკარგა ორი თვის შვებულების მოწმობა № 374, მიღებული სახალხო გვარდიის მე 6 ბატარეის უფროსისგან იასონ ანტომის ძე ზოდელავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2815 3—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი